უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(დ) მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან არსებობდა მოქმედებს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, მოგების გადასახადი ექვემდებარება გადახდას მოგების იმ ოდენობაზე, რომელიც განაწილდება ან ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის ფორმით. 15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ანუ წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებლებში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში, და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები გამომუშავებული მოგებიდან არ იბეგრება.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილებასთან ერთად, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებსა თუ სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებასთან და წარმომადგენლობით დანახარჯებთან, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი იმ საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგრას. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“.

(ე) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენს ქონებას, რომელსაც ფლობენ საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ზრდის ან ორივე მიზნით, მაგრამ არა საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ქონების რეალიზაციის, საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის ქონების გამოყენების მიზნით. საინვესტიციო ქონება მოიცავს მშენებარე ქონებას, რომელიც დასრულების შემდეგ გახდება საინვესტიციო ქონება.

ელი რე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- ფინანსური აქტივის სრულ საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებასთან დაკავშირებით.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა იმ ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გაანგარიშება უბრუნდება მთლიან საფუძველს.

უცხოურ ვალუტაში მითითებული მოგება და ზარალი წარმოდგენილი იქნება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმისდა მიხედვით, არის თუ არა უცხოური ვალუტის ცვალებადობა წარმოდგენილი წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაზე.

(გ) ოპერაციები უცხოური ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია „კომპანიის“ ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციების თარიღების შესაბამისი სავალუტო გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფულად ერთეულებზე წარმოდგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, კონვერტირებულს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის არსებული სავალუტო გაცვლითი კურსის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(დ) მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, მოგების გადასახადი ექვემდებარება გადახდას მოგების იმ ოდენობაზე, რომელიც განაწილდება ან ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის ფორმით. 15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ანუ წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებლებში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში, და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები გამომუშავებული მოგებიდან არ იბეგრება.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილებასთან ერთად, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებსა თუ სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებასთან და წარმომადგენლობით დანახარჯებთან, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი იმ საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“.

(ე) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენს ქონებას, რომელსაც ფლობენ საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ზრდის ან ორივე მიზნით, მაგრამ არა საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ქონების რეალიზაციის, საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის ქონების გამოყენების მიზნით. საინვესტიციო ქონება მოიცავს მშენებარე ქონებას, რომელიც დასრულების შემდეგ გახდება საინვესტიციო ქონება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. ღირებულება მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საინვესტიციო ქონების შეძენასთან. საკუთარი ძალებით აშენებული საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი მუშახელის ხარჯს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება საინვესტიციო ქონების საექსპლუატაციო მდგომარეობაში მოყვანას მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის და კაპიტალიზებულ სესხის ხარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აისახება თვითღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას არ ერიცხება ცვეთა.

შენობა-ნაგებობების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა მიმდინარე და შედარებითი პერიოდებისთვის შეადგენს 50 წელს.

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვისთანავე ან როდესაც საინვესტიციო ქონება სამუდამოდ ჩამოიწერება გამოყენებიდან და გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელი აღარ არის. საინვესტიციო ქონების ჩამოწერით ან გაყიდვით მიღებული მოგება ან ზარალი აღიარებულია იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ქონების ჩამოწერას ან გაყიდვას ჰქონდა ადგილი.

აქტივების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას აქტივის გამოყენებაში, რაც დასტურდება პირდაპირი ფლობის დასრულებით ან საოპერაციო იჯარის დაწყებით სხვა მხარისათვის. აქტივების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას აქტივის გამოყენებაში, რაც დასტურდება პირდაპირი ფლობის დაწყებით ან აქტივის გაყიდვისათვის მომზადების დაწყებით.

(ვ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების კომპონენტები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე აქტივის დემონტაჟის, გატანის და ადგილმდებარეობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილის სახით.

თუ ძირითადი საშუალების კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების (ძირითადი კომპონენტების) სახით.

ძირითადი საშუალებების ნებისმიერი კომპონენტის განკარგვით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში სხვა შემოსავლის/(ხარჯის) ფარგლებში.

(ii) შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების კომპონენტების გამოცვლის ხარჯი აღიარდება კომპონენტის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდო იქნება, რომ კომპონენტის ფარგლებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი „კომპანიაში“ შემოედინება, და მისი ღირებულება შესაძლებელია სანდოდ იქნას შეფასებული. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთა იწყება მათი დამონტაჟებისა და ექსპლუატაციისთვის მზადყოფნის დღიდან, ან შიდა საკონსტრუქციო აქტივების შემთხვევაში, აქტივის დასრულებისა და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან. ცვეთა განისაზღვრება აქტივების თვითღირებულებით, გამოკლებული მათი ნარჩენი ღირებულებით.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ძირითადი საშუალებების კომპონენტების თითოეული ნაწილის მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ვინაიდან აღნიშნული ყველაზე მიახლოებით ასახავს აქტივების ფარგლებში გაათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ხარჯვის მოსალოდნელ ნიმუშს. ცვეთა არ ერიცხება მიწას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების მიმდინარე და შედარებითი პერიოდებისთვის სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადებია:

შენობა-ნაგებობები

აქტივები და საოფისე აღჭურვილობა

სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა

50 წელი

5 წელი

5 წელი

ელი ბი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. ღირებულება მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საინვესტიციო ქონების შეძენასთან. საკუთარი ძალებით აშენებული საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი მუშახელის ხარჯს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება საინვესტიციო ქონების საექსპლუატაციო მდგომარეობაში მოყვანას მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის და კაპიტალიზებულ სესხის ხარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აისახება თვითღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას არ ერიცხება ცვეთა.

შენობა-ნაგებობების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა მიმდინარე და შედარებითი პერიოდებისთვის შეადგენს 50 წელს.

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვისთანავე ან როდესაც საინვესტიციო ქონება სამუდამოდ ჩამოიწერება გამოყენებიდან და გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელი აღარ არის. საინვესტიციო ქონების ჩამოწერით ან გაყიდვით მიღებული მოგება ან ზარალი აღიარებულია იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ქონების ჩამოწერას ან გაყიდვას ჰქონდა ადგილი.

აქტივების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას აქტივის გამოყენებაში, რაც დასტურდება პირდაპირი ფლობის დასრულებით ან საოპერაციო იჯარის დაწყებით სხვა მხარისათვის. აქტივების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას აქტივის გამოყენებაში, რაც დასტურდება პირდაპირი ფლობის დაწყებით ან აქტივის გაყიდვისათვის მომზადების დაწყებით.

(ვ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების კომპონენტები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე აქტივის დემონტაჟის, გატანის და ადგილმდებარეობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილის სახით.

თუ ძირითადი საშუალების კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების (ძირითადი კომპონენტების) სახით.

ძირითადი საშუალებების ნებისმიერი კომპონენტის განკარგვით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში სხვა შემოსავლის/(ხარჯის) ფარგლებში.

(ii) შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების კომპონენტების გამოცვლის ხარჯი აღიარდება კომპონენტის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდო იქნება, რომ კომპონენტის ფარგლებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი „კომპანიაში“ შემოედინება, და მისი ღირებულება შესაძლებელია სანდოდ იქნას შეფასებული. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთა იწყება მათი დამონტაჟებისა და ექსპლუატაციისთვის მზადყოფნის დღიდან, ან შიდა საკონსტრუქციო აქტივების შემთხვევაში, აქტივის დასრულებისა და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან. ცვეთა განისაზღვრება აქტივების თვითღირებულებით, გამოკლებული მათი ნარჩენი ღირებულებით.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ძირითადი საშუალებების კომპონენტების თითოეული ნაწილის მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ვინაიდან აღნიშნული ყველაზე მიახლოებით ასახავს აქტივების ფარგლებში გაათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ხარჯვის მოსალოდნელ ნიმუშს. ცვეთა არ ერიცხება მიწას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების მიმდინარე და შედარებითი პერიოდებისთვის სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადებია:

შენობა-ნაგებობები	50 წელი
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	5 წელი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები

„კომპანია“ იყენებს ფასს 9 - ფინანსურ ინსტრუმენტებს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და არაფინანსური კომპონენტების ზოგიერთი ნასყიდობის ხელშეკრულების აღიარებისა და შეფასების მიზნით.

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო დებიტორული დავალიანების თავდაპირველი აღიარება ხდება მათი წარმოშობის თარიღისთვის.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება, როდესაც „კომპანია“ ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე ხდება. ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო დებიტორული დავალიანება მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული, არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) შეფასებული ერთეულისთვის, მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღიარდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში (FVOCI); ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „კომპანია“ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის თავის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული (FVTPL):

- იგი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული (FVTPL):

- ის განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, რომელიც არ არის წარმოდგენილი სავაჭროდ, „კომპანიას“ შეუძლია უპირობოდ აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები OCI-ში. აღნიშნული არჩევანი სრულდება ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღიარდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL). თავდაპირველი აღიარებისას, „კომპანიას“ შეუძლია უპირობოდ წარმოადგინოს ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების (FVOCI) მოთხოვნებს, როგორც შეფასებული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL), თუ ამით აღმოიფხვრება ან მნიშვნელოვნად შემცირდება სააღრიცხვო შეუსაბამობა, რაც სხვაგვარად წარმოიქმნება.

„კომპანიის“ ფინანსური აქტივები მოიცავს დებიტორულ სესხებს, სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს და ფულსა და ფულის ექვივალენტებს და კლასიფიცირდება ფინანსურ აქტივებად ამორტიზებული ღირებულების კატეგორიაში. აღნიშნული აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, სავალუტო გაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი და გაუფასურება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა საბანკო ნაშთებს შემენის თარიღიდან სამი თვის ან ნაკლები ვადით, რაც ექვემდებარებოდა მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

Handwritten signature

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები

„კომპანია“ იყენებს ფასს 9 - ფინანსურ ინსტრუმენტებს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და არაფინანსური კომპონენტების ზოგიერთი ნასყიდობის ხელშეკრულების აღიარებისა და შეფასების მიზნით.

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო დებიტორული დავალიანების თავდაპირველი აღიარება ხდება მათი წარმოშობის თარიღისთვის.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება, როდესაც „კომპანია“ ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე ხდება. ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო დებიტორული დავალიანება მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული, არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) შეფასებული ერთეულისთვის, მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღიარდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში (FVOCI); ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „კომპანია“ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის თავის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული (FVTPL):

- იგი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანაც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული (FVTPL):

- ის განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანაც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, რომელიც არ არის წარმოდგენილი სავაჭროდ, „კომპანიას“ შეუძლია უპირობოდ აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები OCI-ში. აღნიშნული არჩევანი სრულდება ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), როგორც ზემოთ აღნიშნულ, აღიარდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL). თავდაპირველი აღიარებისას, „კომპანიას“ შეუძლია უპირობოდ წარმოადგინოს ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების (FVOCI) მოთხოვნებს, როგორც შეფასებული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL), თუ ამით აღმოიფხვრება ან მნიშვნელოვნად შემცირდება სააღრიცხვო შეუსაბამობა, რაც სხვაგვარად წარმოიქმნება.

„კომპანიის“ ფინანსური აქტივები მოიცავს დებიტორულ სესხებს, სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს და ფულსა და ფულის ექვივალენტებს და კლასიფიცირდება ფინანსურ აქტივებად ამორტიზებული ღირებულების კატეგორიაში. აღნიშნული აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, სავალუტო გაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი და გაუფასურება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა საბანკო ნაშთებს შემენის თარიღიდან სამი თვის ან ნაკლები ვადით, რაც ექვემდებარებოდა მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(iii) ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL). ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) იმ შემთხვევაში, თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, ან გამიზნულია ასეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში (გარდა სამართლიანი ღირებულების ცვლილების ნაწილისა, რომელიც გამოწვეულია „კომპანის“ საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებით, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში).

სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის სხვაობით მიღებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

„კომპანია“ აფასებს ყველა თავის ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით.

(iv) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, „კომპანია“ შეაფასებს, არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული 'არსებითი მოდიფიცირება'), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

„კომპანია“ ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. „კომპანია“ აფასებს, არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი ფაქტორები, რაოდენობრივი ფაქტორები, როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი ფაქტორების კომბინირებული გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს, „კომპანია“ ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

„კომპანია“ ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში, რაც იწვევს SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას (მაგალითად, კონვერტაციის ფუნქციის ჩართვა).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, „კომპანია“ ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს, როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა გამოითვლება, როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი, მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ, მოდიფიცირებული პირობების მქონე ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, „კომპანია“ იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას,

ერ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(iii) ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL). ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) იმ შემთხვევაში, თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, ან გამიზნულია ასეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში (გარდა სამართლიანი ღირებულების ცვლილების ნაწილისა, რომელიც გამოწვეულია „კომპანიის“ საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებით, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში).

სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის სხვაობით მიღებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

„კომპანია“ აფასებს ყველა თავის ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით.

(iv) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, „კომპანია“ შეაფასებს, არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული 'არსებითი მოდიფიცირება'), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

„კომპანია“ ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. „კომპანია“ აფასებს, არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი ფაქტორები, რაოდენობრივი ფაქტორები, როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი ფაქტორების კომბინირებული გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს, „კომპანია“ ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

„კომპანია“ ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში, რაც იწვევს SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას (მაგალითად, კონვერტაციის ფუნქციის ჩართვა).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, „კომპანია“ ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს, როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა გამოითვლება, როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი, მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ, მოდიფიცირებული პირობების მქონე ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, „კომპანია“ იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას,

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, ანუ „კომპანია“ აღიარებს ამგვარი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში. ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ ჩაითვლება მოდიფიცირებად იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოიშობა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად, ბანკების მიერ ინიცირებული ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებში, რაც გამოწვეულია საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითად განაკვეთებში ცვლილებებით იმ შემთხვევაში, თუ სესხის ხელშეკრულება ანიჭებს ამგვარ უფლებამოსილებას ბანკებს, ხოლო „კომპანია“ შეუძლია ან მიიღოს გადასინჯული განაკვეთი ან გამოისყიდოს სესხი ნომინალურ ღირებულებად ჯარიმის გარეშე. „კომპანია“ ამუშავებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მიმდინარე საბაზრო განაკვეთზე მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

„კომპანია“ ასრულებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებებს იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ცვლილება არსებითი ხარისხობრივი ფაქტორების, რაოდენობრივი ფაქტორებისა და როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი ფაქტორების კომბინირებული გავლენის გათვალისწინებით. „კომპანია“ ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები, თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, მათ შორის ნებისმიერი თანხა გადახდილი მიღებული და დისკონტირებული თანხების გარეშე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, მინიმუმ 10 პროცენტით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ საგალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებაში ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი გამოყენების ვადის განმავლობაში.

(v) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს გარიგებაში, რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც „კომპანია“ არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ის არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

„კომპანია“ დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. „კომპანია“ ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როცა მისი პირობები მოდიფიცირებულია და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(vi) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი იყოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანია“ ამჟამად აქვს იურიდიული უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით და იმავდროულად ვალდებულების დაკმაყოფილებას. „კომპანია“ ამჟამად აქვს კანონიერად აღსრულებადი ურთიერთგადაფარვის უფლება, თუ ეს უფლება არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და აღსრულებადი როგორც საქმიანობის ნორმალურ

ეთი ჩი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, ანუ „კომპანია“ აღიარებს ამგვარი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში. ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ ჩაითვლება მოდიფიცირებად იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოიშობა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად, ბანკების მიერ ინიცირებული ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებში, რაც გამოწვეულია საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითად განაკვეთებში ცვლილებებით იმ შემთხვევაში, თუ სესხის ხელშეკრულება ანიჭებს ამგვარ უფლებამოსილებას ბანკებს, ხოლო „კომპანია“ შეუძლია ან მიიღოს გადასინჯული განაკვეთი ან გამოსიყიდოს სესხი ნომინალურ ღირებულებად ჯარიმის გარეშე. „კომპანია“ ამუშავებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მიმდინარე საბაზრო განაკვეთზე მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

„კომპანია“ ასრულებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებებს იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ცვლილება არსებითი ხარისხობრივი ფაქტორების, რაოდენობრივი ფაქტორებისა და როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი ფაქტორების კომბინირებული გავლენის გათვალისწინებით. „კომპანია“ ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები, თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, მათ შორის ნებისმიერი თანხა გადახდილი მიღებული და დისკონტირებული თანხების გარეშე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, მინიმუმ 10 პროცენტით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებაში ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი გამოყენების ვადის განმავლობაში.

(v) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს გარიგებაში, რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც „კომპანია“ არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ის არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

„კომპანია“ დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. „კომპანია“ ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როცა მისი პირობები მოდიფიცირებულია და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(vi) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი იყოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანია“ ამჟამად აქვს იურიდიული უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით და იმავდროულად ვალდებულების დაკმაყოფილებას. „კომპანიას“ ამჟამად აქვს კანონიერად აღსრულებადი ურთიერთგადაფარვის უფლება, თუ ეს უფლება არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და აღსრულებდია როგორც საქმიანობის ნორმალურ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

პროცესში, ასევე „კომპანიის“ და ყველა კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის, გადახდისუნარიობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

(თ) გაუფასურება

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

„კომპანია“ აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან (ECL) დაკავშირებით.

„კომპანია“ აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომლისთვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) დადგენისას, „კომპანია“ ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომია არასაჭირო ხარჯებისა და ძალისხმევების გაწევის გარეშე. აღნიშნული მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, „კომპანიის“ წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

„კომპანია“ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკს მნიშვნელოვნად გაზრდილად მიიჩნევს, თუ მას ექნება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება.

„კომპანია“ ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს „კომპანიის“ მიმართ, „კომპანიის“ მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის ფლობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) ნიშნავს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL), რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისგან (ან უფრო მოკლე ვადაში იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც „კომპანია“ ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და „კომპანიის“ მიერ მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის, „კომპანია“ აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი 'გაუფასურებულია საკრედიტო რისკით' იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

პროცესში, ასევე „კომპანიის“ და ყველა კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

(თ) გაუფასურება

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

„კომპანია“ აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან (ECL) დაკავშირებით.

„კომპანია“ აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომლისთვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) დადგენისას, „კომპანია“ ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომია არასაჭირო ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. აღნიშნული მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, „კომპანიის“ წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

„კომპანია“ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკს მნიშვნელოვნად გაზრდილად მიიჩნევს, თუ მას ექნება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება.

„კომპანია“ ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს „კომპანიის“ მიმართ, „კომპანიის“ მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის ფლობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) ნიშნავს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL), რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც „კომპანია“ ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და „კომპანიის“ მიერ მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის, „კომპანია“ აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“ იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოიცავს შემდეგ დავკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
